

მარადიული სახის მხატვრული
ინტერპრეტაციის თავისებურებები:
გალაკტიონ ტაბიძისა და ანა ახმატოვას ერთი
ლიტერატურული პარალელის მაგალითზე

PECULIARITIES OF THE ARTISTIC INTERPRETATION
OF THE ETERNAL FACE: USING THE EXAMPLE OF ONE
LITERARY PARALLEL OF GALAKTION TABIDZE AND
ANNA AKHMATOVA

ნანა გაფრინდაშვილი

Nana Gaprindashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ინტერპრეტაცია, ანა ახმატოვა,
გალაკტიონ ტაბიძე

Keywords: Interpretation, Anna Akhmatova, Galaktion Tabidze

მარადიული სახე თავისი მაღალმხატვრულობით, სულიერებით, ეპოქათა და ეროვნულ კულტურათა საზღვრების გადალახვისა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფუნქციონირების უნარით, პოლივალენტურობით, შინაარსობრივი ტევადობით, აზრისა და მნიშვნელობის უშრეტობით, მარადიული აქტუალობით, შეცვლილ ვითარებაში ჩართვისას თავისი იდენტურობის შენარჩუნებისა და ხელოვნების სხვა დარგების ენაზე ადვილად გადატანის შესაძლებლობით, გავრცელების ფართო არეალით, საკუთარი ინტერპრეტაციული ტრადიციის არსებობით, მარკირებულობითა და კიდევ სხვა მრავალი თავისებურებით უნიკალური ფენომენია.

წარმომავლობის მიხედვით, მარადიულ სახეებში გამოყოფენ მითოლოგიურ, ფოლკლორულ, რელიგიურ, ლეგენდარულ, ისტორიულ და ლიტერატურულ სახეებს. მარადიული სახეები ჩართულია მრავალრიცხოვან სოციალურ პრაქტიკაში. მათ შორის ისეთებშიც, რომლებიც შორს დგანან მხატვრული შემოქმედებისაგან. თუმცა მათ განსაკუთრებულ ხიბლს სწორედ ხელოვნება და ლიტერატურა სძეbs.

იმის დასტურად, თუ რამდენად ნაყოფიერად ფუნქციონირებენ, როგორ ახდენენ თავიანთი ეპოქისა თუ კულტურულ-ესთეტიკური ფასეულობების წარმოჩენას მარადიული სახეები, როგორ ინარჩუნებენ აქტუალობას, რა მარტივად გადადიან ეპოქიდან ეპოქაში, ქვეყნიდან – ქვეყანაში, როგორი მოქნილნი, პოლივალენტურნი, მარკირებულნი არიან, განვიხილავთ შექსპირის ჰამლეტისა და ოფელიას მარადიულ სახეებს ორი ლექსის მაგალითზე: გალაკტიონ ტაბიძის „ჰამლეტის ქნარით“ და ანა ახმატოვას „ჰამლეტის“ კითხვისას“.

გალაკტიონის ლექსში პარაფრაზირებულია შექსპირის ცნობილი ნაწარმოები. მაღალმხატვრული ფორმით არის გადმოცემული ლირიკული გმირის განცდები და ტრაგედია. ანა ახმატოვამ მკითხველს მაღალოსტატურად და ამავე დროს ერთგვარი პოეტური სისადავით წარმოუჩინა თავისი სათქმელი შექსპირის სიუჟეტურ მოტივში და ამასთან ერთად განაზოგადა თავისი პირადული სატიკვარი.

The Eternal Face with its high artistry, spirituality, ability to transcend the boundaries of epochs and national cultures and function for a long time, with its polyvalence, content capacity, inexhaustibility of thought and meaning, eternal topicality, capacity to blend in the changing environment and still preserve its authentic identity, the ability to be employed in other forms of art, the wide area of its spread, with its interpretive tradition, marking and many other features is a unique phenomenon.

The Eternal Face may have a mythological, folk, religious, legendary, historical and literary origin. The Eternal faces are involved in numerous social practices including those that are far removed from artistic creation. However, their special charm is attributed to art and literature.

To prove how fruitfully they function, how they display their epoch or cultural-aesthetic values, how they maintain relevance, how easily they move from epoch to epoch, from country to country, how flexible, polyvalent the Eternal Faces are, we will use the Eternal Faces of Shakespearean Ophelia and Hamlet in two poems: Galaktion Tabidze's "Hamlet with the Lyre" and Anna Akhmatova "Reading Hamlet".

Galaktion's poem paraphrases Shakespeare's famous work. The feelings and tragedy of the lyrical hero are conveyed in a highly artistic form. Anna Akhmatova masterfully, but at the same time, with a poetic simplicity presented the Shakespearean motif and simultaneously generalized her personal pain.

